საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030132746373019

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/1191 **24 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის 14 დეკემბერს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, საქართველოში მყოფი საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და შესაბამისად, ასიგნებების განკარვაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2018 წლის ბოლოს განხორციელებულმა ცვლილებამ ვერ ჰპოვა შესაბამისი ასახვა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განკარგვაში არსებულ პროგრამულ კოდებს საჭიროა დაემატოს „საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა“ სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 06 05, ფუნქციონალური კოდი -7.10.7, საიდენტიფიკაციო კოდი - 202486559) და ასიგნება განისაზღვროს 82 000 ლარის ოდენობით, კერძოდ: 32 000 ლარი ინტეგრაციის ცენტრის შენახვის ხარჯისათვის და 50 000 ლარი უშუალოდ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 82 000 ლარის მოძიება, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ განხორციელდეს „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების“ პროგრამაში (პროგრამული კოდი - 27 03 04) მოსალოდნელი რესურსის ფარგლებში.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31- ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში განახორციელოთ გეგმის ცვლილება დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად გიორგი წოწკოლაური